კულტურული ომების გლობალური იმპორტი და სოციალური შეჭიდულობის რღვევა: ულტრამემარჯვენე ნარატივების ტრანსფორმაცია და მათი გავრცელება თანამედროვე საქართველოში

ალექსანდრა არუშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი ანა კირვალიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრა არაშვილი,

2026 წლის 15 იანვარი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა აანალიზებს თანამედროვე ულტრამემარჯვენე დისკურსების წარმოშობას, გლობალურ ცირკულაციას და ლოკალურ ადაპტაციას პოსტ-სოციალისტური საქართველოს მაგალითზე, განსაკუთრებით 2022-2025 წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე. კვლევა იყენებს შედარებითი ანალიზის, შემთხვევათა შესწავლისა და კრიტიკული დისკურს-ანალიზის (CDA) მეთოდებს მულტიდისციპლინარულ თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით, რომელიც სოციოლოგიურ, პოლიტიკურ, ისტორიულ და კრიტიკულ თეორიებს ეყრდნობა. საქართველოს კონტექსტის შესწავლისას, კვლევის ცენტრალური კითხვაა, თუ როგორ ხორციელდება გლობალური კულტურული ომების იმპორტი და რა გავლენა აქვს ამ პროცესს საზოგადოებრივ, სოციალურ შეჭიდულობაზე.

ნაშრომის თეორიული ჩარჩო აჩვენებს, რომ თანამედროვე ულტრამემარჯვენე დისკურსები, რომელთა აღმასვლის მოცემულ პერიოდსაც ნაშრომში 'პოსტ-ფაშისტურ' ფენომენად მოვიხსენიებთ, რეალურად ფუნქციონირებს, როგორც მექანიზმი, რომელიც სხვადასხვა საზოგადოებებში არღვევს სოციალური შეჭიდულობის ფორმებსა და შესაძლებლობებს 'ფსევდო-კონფლიქტების' წარმოების, 'მტრის ხატის' კონსტრუირების, 'დაყავი და იბატონე' პრინციპისა და სხვა სტრატეგიების გამოყენებით, რაც ძირითადად გლობალური კულტურული ომების ლოკალურ კონტექსტებში იმპლემენტაციით ხდება შესაძლებელი: კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული დისკურსები მეტწილად იმპორტირებულია და ადაპტირდება და/ან ითარგმნება კონტექსტის მიხედვით.

თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოზე დაყრდნობით, ზემოთ მოყვანილ ფენომენს კვლევა შვიდი ძირითადი დისკურსული ცვლადის

ოპერაციონალიზაციის მეშვეობით აანალიზებს. კვლევის ემპირიული ნაწილი ძირითადად 2022-2025 წლების პერიოდზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც საქართველოში რადიკალური პოლიტიკური და იდეოლოგიური ძვრები მოხდა 'უცხოური აგენტების' კანონისა და სხვა გადაწყვეტილებების/რეფორმების ფონზე.

კვლევის ძირითადი მიგნებებია, რომ ულტრამემარჯვენე დისკურსი, რომელსაც საქართველოში უფრო და უფრო მძლავრად ვხედავთ, მათ შორის, მმართველი პარტიის ოფიციალურ პოლიტიკაში, არა ავთენტური, ადგილობრივი სოციალური ან პოლიტიკური კონტექსტიდან ამოზრდილი ფენომენია, არამედ გლობალური ულტრამემარჯვენე ნარატივის იმპორტირებული და ადაპტირებული ვერსია, რომლის ცენტრალურ პოლიტიკაში დამკვიდრება და რადიკალიზაციაც 2022 წლის შემდეგ იწყება. ეს პროცესები უკვე აჩვენებს კონკრეტულ სოციალურ შედეგებს, კერძოდ, კვლევა აკვირდება, თუ როგორ მოქმედებს აღნიშნული დისკურსი საზოგადოებრივი ერთობის, ნდობისა და სოლიდარობის გამოვლინებებსა და შესაძლებლობებზე, ემტერება სოციალური კვლავწარმოების ფორმებს და აღრმავებს საზოგადოებრივ ფრაგმენტაციას მიმდინარე გლობალური და ლოკალური კრიზისების ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ულტრამემარჯვენე დისკურსები, პოსტ-ფაშიზმი, კულტურული ომები, სოციალური შეჭიდულობა, კრიტიკული დისკურს-ანალიზი, პოპულისტური რადიკალური მემარჯვენეობა, პოსტ-სოციალისტური ტრანზიცია, ნატივიზმი, სოციალური კვლავწარმოება, მტრის ხატის შექმნა, გლოკალიზაცია, საქართველო

Abstract

This study analyzes the emergence, global circulation, and local adaptation of contemporary ultra-right discourses through the case of post-socialist Georgia, particularly against the backdrop of political developments that unfolded between 2022 and 2025. The research employs methods of comparative analysis, case study, and critical discourse analysis (CDA) based on a multidisciplinary theoretical framework that draws on sociological, political, historical, and critical theories. In examining the Georgian context, the central research question concerns how the import of global culture wars is implemented and what impact this process has on social cohesion.

The theoretical framework of the thesis demonstrates that contemporary ultra-right discourses - whose ascendancy during the given period we refer to in this work as a 'post-fascist' phenomenon - actually function as mechanisms that disrupt forms and possibilities of social cohesion through the production of 'pseudo-conflicts,' the construction of 'enemy images,' the 'divide and rule' principle, and other strategies, which becomes possible primarily through the implementation of global culture wars in local contexts. The research shows that these discourses are largely imported and adapted and/or translated according to context.

Based on the theoretical and methodological framework, the research analyzes the aforementioned phenomenon through the operationalization of seven key discursive variables. The empirical section focuses primarily on the 2022-2025 period, when radical political and ideological shifts occurred in Georgia against the backdrop of the 'foreign agents' law and other decisions/reforms.

The main findings of the research are that the ultra-right discourse, which we see increasingly powerfully in Georgia, including in the official politics of the ruling party, is not an authentic phenomenon arising from local social or political context, but rather an imported and adapted version of global ultra-right

narratives, whose establishment in mainstream politics and radicalization begins after 2022. These processes already demonstrate concrete social consequences; specifically, the research observes how this discourse affects manifestations and possibilities of social unity, trust, and solidarity, interferes with forms of social reproduction, and deepens social fragmentation against the backdrop of ongoing global and local crises.

Keywords: ultra-right discourses, post-fascism, culture wars, social cohesion, critical discourse analysis, populist radical right, post-socialist transition, nativism, social reproduction, enemy image construction, glocalization, Georgia